ხაშურის მოამბე

№25 (307) 9 აგვისტო, ორშაბათი, 2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №147 განკარგულებიდან გამომდინარე („ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“), აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს მომართვის თანახმად, მუნიციპალიტეტს მიეცა შესაძლებლობა ბიუჯეტის პარამეტრები გაზრდილიყო 1 210 400 ლარით. შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური რესურსი წარიმართება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად:

1. 640 000 ლარი - სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტების სამუშაოები;
2. 90 000 ლარი - ამწე კალათის შესყიდვა;
3. 110 000 ლარი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორმოულების შეკეთება;
4. 100 000 ლარი - სოფელ ალში მინი სტადიონის მოწყობა;
5. 25 000 ლარი - ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე; გარე ტრენაჟორების მოწყობა;
6. 100 000 ლარი - ხიდების მშენებლობა- რეაბილიტაცია;
7. 80 400 ლარი - გზების რეაბილიტაცია;
8. 60 000 ლარი - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა;
9. 5 000 ლარი - ქ. ხაშურში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ფრესკის რესტავრაციის სამუშაოები.

ამასთანავე, მოხდა სხვადასხვა განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების კორექტირება. ჯამში, შემცირებულმა თანხამ 759 228 ლარი შეადგინა. აღნიშნული ფინანსური რესურსი წარიმართება შემდეგ ღონისძიებებში:

27 023 ლარი - წყლის სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია;

200 000 ლარი - გარე განათების მოვლა შენახვა (ელ ენერგიის საფასურის გადახდა);

320 125 ლარი მდინარეების და გზის დამცავი ნაპირსამაგრი კედლების მუხლში;

67 988 ლარი - მიუსაფარი ძაღლების მოვლა-შენახვა;

38 678 ლარი - ქ. ხაშურში დიალეზის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

44 232 ლარი - ქ.ხაშურში შინდარისა და მინისტარის დასახლებაში, ატრაქციონების მოწყობა;

61 182 ლარი - სოფლის პროგრამის თანადაფინანსება;

აღნიშნული ცვლილებები უკვე დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საკრებულომ. ცვლილებებიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, მთლიანობაში, გაიზარდა 3 417 489 ლარით.

- კოვიდ - 19 -

სიტუაცია საგანგაშოა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **დავით ჩიქოვანი** საგანგაშო ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საუბრობს ხაშურის მუნიციპალიტეტში და აღნიშნავს, რომ რაიონში მდგომარეობა საკმაოდ დამძიმდა, კოვიდ დადებითი შემთხვევების გამოვლენის ყოველდღიური მაჩვენებელი კატასტროფულად გაზრდილია და ათეულ შემთხვევებს ითვლის. დავით ჩიქოვანი მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენებს რეგულაციების დაცვისა და ვაქცინქციის სასიცოცხლო აუცილებლობას...

– ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა საკამოდ დამძიმდა როგორც ქვეყანაში, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში. ივლისის ბოლო კვირას, 200 დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა. მაგრამ უკანასკნელმა დღეებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მხოლოდ 2 აგვისტოს ხაშურში, 90 კოვიდ დადებითი შემთხვევა გამოვლინდა. საშინელი მდგომარეობაა, ყოველი მესამე ადამიანი, 2 აგვისტოს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ტესტირების შედეგად, დადებითი იყო. ტესტირებაზე საკმაოდ დიდი რიგებია, რაც განპირობებულია იმით, რომ ძალიან ბევრი ადამიანია ჩამოსული დასასვენებლად სურამში, სოფლებში და უფრო მეტად ეს კატეგორიაა დაინფიცირებული.

გავრცელება უკვე ყველა ლოკაციაზე გვაქვს, სურამში, ხაშურში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მოიმატა ინფიცირების მაჩვენებელმა, დაახლოებით 16 - 21 წლის ახალგაზრდებში. აგრეთვე ბავშვებშიც, ხაშურის მუნიციპალიტეტში არის შემთხვევები ჩვილი ბავშვების დავირუსების. .... ძალიან ცუდი სიტუაციაა! არ ხდება რეგულაციების დაცვა, ხალხი დადის პირბადის გარეშე, არ იცავს დისტანციას... ესწრებიან ხალხმრავალ შეკრებებს, საუბარია ინტენსიურად გამართულ ქორწილებზე, დღეობებზე და ა.შ. გასულ კვირას, მხოლოდ ერთი ქორწილიდან, დაფიქსირდა 30 დადებითი კოვიდ შემთხვევა, რა დროსაც დაინფიცირდნენ ახლად დაქორწინებულები და მათი თანმხლები პირები და დღემდე გრძელდება მათი კოვიდ დადებითი ოჯახის წევრების გამოვლენა... და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, მაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ არის დაგეგმილი ხალხმრავალი ქორწილები...

-რაც შეეხება საერთო სტატისტიკას, 2020 წლის სექტემბრიდან დღემდე 3500 შემთხვევას გადავცდით მუნიციპალიტეტში. 3100 მეტი გამოჯანმრთელდა, სამწუხაროდ გარდაცვლილია 50. ამ წუთისათვის 400 ზე მეტი აქტიური შემთხვევაა ხაშურში, შესაბამისად, გადატვირთულია სამედიცინო დაწესეულებები...

-რაც შეეხება აცრებს... აცრები ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სამი ვაქცინით - სინოვაკით, სინოფარმითა და ასტრაზენეკით... საკმაოდ აქტიურად მიმდინარებს ვაქცინაცია, 3200 მეტი პირია ერთჯერადად აცრილი, ორჯერადად კი - 1200-მდე. სინოფარმზე და სინოვაკზე დამატებით გვჭირდება რესურსი. დღის განმავლობაში იცრება 130 ადამიანი, რომლებიც მოდიან როგორც პორტალზე დარეგისტრირებულნი, ისე თვითდინებითაც. მინდა, გითხრათ, რომ სამივე სახის ვაქცინაციისათვის შეგიძლიათ მიხვიდეთ ვაქცინაციის ცენტრში და ადგილზე, ნებისმიერ დროს, დაგარეგისტრირებენ და განხორციელდება ვაქცინირება. ორშაბათი არის ასტრაზენეკით, სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი- სინოფარმით და ოთხშაბათი სინოვაკით ვაქცინაციის დღე.

-არის თუ არა ვაქცინაციის შემდგომი გართულებები? დღემდე რაც აიცრა, არავითარი საგანგაშო გართულება არ დაფიქსირებულა. არის დაანონსებული, რომ უკვე სოფლად დაიწყება ვაქცინაცია, ასევე შესაძლოა, ასეთ რთულ სიტუაციაში ქალაქში გაიხსნას დამატებით ვაქცინაციის საველე ცენტრები ღია სივრცეში.

-რატომ უნდა ავიცრათ? ზოგიერთი მედიცინის მუშაკიც სცოდავს რომ სათანადოდ არ უხსნის მოსახლეობას ვაქცინაციის მნიშვნელობას, ხშირად მომმართავენ შეკითხვით, რა უნდა მოიმოქმედონ რისკის ქვეშ მყოფმა ადამიანება, უნდა ჩაიტარონ თუ არა ვაქცინაცია... რასაკვირველია, უნდა აიცრან, დავირუსების შემთხვევაში არ არის პროგნოზირებადი მისით გამოწვეული შედეგები, იმდენად დიდი რისკია დაინფიცირება, რომ მასთან შედარებით ვაქცინაციის შემდგომი რისკები მინიმუმამდეა დასული...

-რაც შეეხება რეგულაციებს! მოვითხოვთ, დავიცვათ რეგულაციები ,არ აქვს მნიშვნელობა ხარ თუ არა ვაქცინირებული, ატარეთ პირბადე, დაიცავით დისტანცია და მოერიდეთ ხალხმრავალ, დიდ შეკრებებს! ძალიან ვთხოვ მოსახლეობას ქორწილებსა და ქელეხებზე ვთქვათ უარი. და კიდევ, აუცილებელი პირობაა ვაქცინაცია, აცრა... არ აქვს მნიშვნელობა რომელი ვაქცინით ავიცრით, მთავარია ავიცრათ!

-გვიცავ თუ არა აცრა? რა თქმა უნდა! აცრა, პირველ რიგში, გვიცავს დავირუსებისაგან და თუ მაინც დავინფიცირდით, ძალიან იოლად გადავიტანთ კოვიდ - 19 ვირუსს, რადგან ორგანიზმში არსებული ანტისხეული ებრძვის ვირუსს. ვირუსი როდესაც ხვდება ორგანიზმში, შებოჭავს. თუ მცირე რაოდენობით ვირუსი შევიდა ორგანიზმში, მოკლავს და გაანადგურებს და თუ დიდი რაოდენობით, იმდენად დაასუსტებს, რომ დაავადება რთულად არ განვითარედეს..,- აღნიშნა ჩვენი საუბრის ბოლოს ბატონმა დავითმა.

თ. ახალკაცი

თუ რამეს ვაკეთებთ, თუ რამეს ვცდილობთ შევქმნათ, ყოველთვის გვახსოვდეს ადამიანის ფაქტორი, რომლის როლი საზოგადოების განვითარებაში შეუცვლელია.

პატივი ვცეთ მის უდიდებულესობას - ადამიანს!

ნებისმიერ ეპოქაში, მითუმეტეს, დღეს - XXI საუკუნეში, განვითარების როგორ მაღალ დონესაც არ უნდა აღწევდეს საზოგადოება, მისი უდიდებულესობის, ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის როლი, მასში დიდი დოზითაა გამოხატული და ფაქტობრივად, ვერაფერი ვერ შეცვლის მას.

არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, მრავალ შრომით კოლექტივში მომიწია მუშაობა, ვიყავი მუშაც, ოსტატიც, პედაგოგიც, ჟურნალისტიც, საჯარო მოხელეც და თითქმის ყველა კატეგორიის ადამიანებთან მიხდებოდა შრომაც, თავისუფალი დროს გატარებაც. მქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობაც. ტკბილსა და მწარესაც არ იშურებდნენ გარშემომყოფნი, იყო დამცირებაც და აღმასვლაც, იყო დაუფასებლობაც და თითქმის ყველა დონის ჯილდოც, მაგრამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერს, ცუდსაც და კარგსაც ადამიანი განაპირობებს, უადამიანოდ არაფერი შეიქმნებოდა და შეიქმნება, იგი საზოგადოების შვილია, საზოგადოების ქურაში იწვის. მის მოღვაწეობასა და შედეგებზე შეუძლებელია გავლენას არ ახდენდეს რთული მრავალპლანიანი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორები, რომლებიც ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად იქმნებიან და მოქმედებენ.

მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სული და გული, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანი, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, უპირველესად კი ის უბრალო, რიგითი ადამიანები, რომლებიც მილიონიან მასებად არიან განფენილნი მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ზოგჯერ ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორი დიდია მათი წვლილი სოციალურ შემოქმედებაში.

ყოველი, სრულიად ჩვეულებრივი მუშაკის ყოველდღიური მოღვაწეობის წარმატებაზეა დამოკიდებული სხვათა წარმატება და პირიქით, ვიღაცის უდარდელობამ და უპასუხისმგებლობამ შეიძლება კატასტროფულად იმოქმედოს საკმაოდ დიდი მასშტაბითაც კი.

აქედან გამომდინარე, ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ უაღრესი ერთგულებით და პასუხისმგებლობით, მოვალეობის ღრმა შეგნებით ემსახურონ საზოგადოერივ საქმეს, მზამზარეულად როდი გვეძლევიან. ასეთებს აღზრდა, შექმნა, ჩამოყალიბება უნდა, რადგანაც ადამიანი, როგორც ცნობილია, გარემოებათა შვილია.

თუ რამდენად წარმატებით ვახერხებთ ამას, მით უფრო მაღლდება ადამიანის ფაქტორის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მით უფრო მეტ და თვალსაჩინო წარმატებებს ვაღწევთ საზოგადო საქმეებში და მით უფრო უკეთ კმაყოფილდება ცალკეულ პიროვნებათა ინტერესები, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

ამრიგად, როგორ უნდა გავიგოთ ადამიანის ფაქტორი? - ვფიქრობ ძალზე მარტივად, კერძოდ, თუ ობიექტური ადამიანი, მითუმეტეს ნებისმიერი დონის ხელმძღვანელი, კარგად დაუკვირდება მის გარშემო მყოფი ადამიანების საქმიანობას და მოღვაწეობას, ადვილად შეამჩნევს, რომ თანაბარ პირობებში მყოფი ადამიანები ხშირად განსხვავებულ

შედეგებს აღწევენ. ადამიანების ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების, საწარმოს თუ დაწესებულების ინტერესების დაცვას, დღენიადაგ იმაღლებს პროფესიონალიზმის დონეს, იცავს საშემსრულებლო დისციპლინას, მიღებულ დავალებას მთელი სერიოზულობით უდგება, წინასწარ გეგმავს მის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტის გზებს და საშუალებებს, პრაქტიკულად ემზადება დასახული ამოცანის შესრულებისათვის და შედეგიც ყოველთვის სახეზეა, მეორე ნაწილი კი უდიერად, უპასუხისმგებლოდ უდგება საქმეს, დავალებას და საქმეც არ გამოდის. ვერ ასრულებს დავალებას, სამაგიეროდ პრეტენზია აქვს დაწიანურების, პრემიის მიღების თუ სხვა წამახალისებელი ღონისძიებების მის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიმართ.

თუ კარგად მიმოვიხედავთ ჩვენს ირგვლივ, დავინახავთ მსგავს მაგალითებს, როცა ზარმაცი უპასუხისმგებლო ადამიანი, კარიერისტი და მოლაყბე გაცილებით მეტ სარგებელს ღებულობს მავანთა მფარველობის გამო, ვიდრე ის, ვინც ლაყბობას, ტრაბახს, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას ამჯობინებს. ვინც დაუმსახურებელი ხელფასის, პრემიის თუ რაიმე ჯილდოსათვის კი არ იბრძვის, არამედ საერთო საქმისათვის თავსაც კი გასწირავს. დღესა და ღამეს გაასწორებს და თავს არ შეირცხვენს, შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელის თუ საზოგადოების წინაშე.

50 წელზე მეტი სტაჟის მქონე ადამიანი ბევრი ასეთი ფაქტის მომსწრე ვარ, ასეთი მაგალითები უხვად იყო კომუნისტური ხელისუფლების თუ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოსული ხელისუფლებების დროს.

გადაავლეთ თვალი, ჩვენს უახლოეს ისტორიას და ნახავთ როგორ ცდილობენ ერთი და იგივე „ტიპები“, ცხვირსახოცივით იცვლიან პარტიებს, ოღონდაც ვინმეს ქოლგის ქვეშ ნახონ ადგილი. კაცი არ ფიქრობს გადახედოს მსგავსი „ტიპების“ ბიოგრაფიას, მის განვლილ „სახელოვან“ გზას. მთავარია ასეთმა „ტიპებმა“ ვიღაცის მოთაფლვა, ვიღაცის შეცდომაში შეყვანა შეძლონ და არავინ არ კითხულობს, ვისი ვიოლინო ვის როიალშია.

და ყოველივე ამის შემდეგ, რატომ გვიკვირს - რატომაა ჩვენი ქვეყანა ასეთ სავალალო მდგომარეობაში?.. რატომ ვერ წამოდგა ჩვენი ქვეყვის ეკონომიკა ფეხზე? - ეს მაშინ, როცა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპის და აზიის ქვეყნებზე, ჩვენს ქვეყანაზე უკეთეს მდგომარეობაში არიან.

ნეპოტიზმით, ვიღაცის მფარველობით მოსული „კადრი“ საქმეს რომ ჩააგდებს, ნუთუ კითხვებს არ უნდა იწვევდეს.

დღესდღეობით, საჯარო სამსახური ერთგვარ თავშესაფრად იქცა. ვისაც პატრონი ჰყავს, ამ თავშესაფარში ადვილად იკავებს ადგილს პროფესიონალების ნაცვლად.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს „ქოლგის“ ქვეშ მყოფი ადამიანები როგორ ლაღობენ დაწესებულების შიგნითაც და გარეთაც. როცა სამუშაო საათებში მათ ყველგან ნახავთ, სამუშაო ადგილის გარდა. ასეთი ე.წ. ბიუროკრატები არად დაგიდევენ დაწესებულებაში მოსული მოქალაქის ტკივილს, გასაჭირს, ანდა, რა უნდა გაგიკეთოს ადამიანმა, რომელიც თავის უფლება-მოვალეობებშიც ვერ გარკვეულა.

იბადება ბუნებრივი კითხვა, რა ხდება? - პასუხი მარტივია და ცხადია ადამიანის ფაქტორი ვერ მოქმედებს მთელი ძალით და შესაძლებლობით. განა ასეთი ფაქტები იშვიათია?

მსგავსი შემთხვევები გვაქვს მოქმედ საწარმოებშიც, სადაც პროგრესული უახლესი ტექნოლოგიით, საუკეთესო მასალებით და დანადგარებით აღჭურვილი შრომითი კოლექტივი სახარბიელო შედეგს ვერ აღწევს, ვერ უშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას.

მიზეზებს სადღაც სოროში ნუ ვეძებთ, ასეთი შედეგები იქ ვლინდება, სადაც საკადრო პოლიტიკას სათანადო ყურადღება არ ექცევა, სადაც ადამიანის ფაქტორი იგნორირებულია.

სამწუხაროა, როცა ჩვენ პერსონალურად არსებითი ყურადღება გადაგვაქვს ახალ ფასეულობათა შექმნაზე, რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათის დაგროვებაზე, მაშინ, როცა წესრიგს ვერ ვამყარებთ იმაში, რაც უკვე შექმნილია, რაც უკვე გვაქვს, უკვე შექმნილის უკეთ მოვლა და წესიერად გამოყენება ხომ იგივე ახალი დოვლათის ტოლფასია.

ცნობილი ფატია, რომ ადამიანში მოქცეულია ამოუწურავი რეზერვი სოციალური და ეკონომიკური შემოქმედებისა, საჭიროა, რაც შეიძლება სრულად ვავლენდეთ ამ რეზერვებს. რომ ნაკლები იყოს დანაკარგი, მაღალი იყოს ადამიანის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ასეთი ადამიანები კი, რომელთაც დადებითი მუხტი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი ფაქტორის სრული ამოქმედების შედეგად, თავისთავად არ შემოდიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ადამიანი, ხომ საზოგადოების შვილია, იგი აქვე იზრდება და აქვე მოღვაწეობს. ამიტომ ასეთ ადამიანებს სჭირდება აღზრდა. მეორეს მხრივ კი მათ საჭიროა ვუქმნიდეთ შრომისა და მოღვაწეობის ისეთ პირობებს, რომელშიც საზოგადოებრივად სასარგებლო უნარები, ნიჭი და ენერგია სრულად ვლინდება.

ძნელი ამოცანაა ადამიანის აღზრდა იმ უნარებით, რომლებიც სულ უფრო მძლავრად გამოავლენენ სუბიექტური ფაქტორის როლს, მაგრამ ეს თვისებები შეიძლება გაქარწყლდეს თუ ამავდროულად არ ვქმნით პირობებს მათი ამოქმედებისათვის. ამის გარეშე ადამიანის ფაქტორის, როლის ამაღლების მოთხოვნა დარჩება ფრაზად და რიტორიკად.

შემოვაბრუნოთ საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ, მოვახმაროთ მათ გადაწყვეტას ხელისუფლების, ხალხის, ყველა შრომითი კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალი. მხოლოდ ასე შევძლებთ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

ადამიანის ფაქტორის ამაღლება შეიძლება მოხდეს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული შერწყმით. ადამიანს მხოლოდ სიტყვით კი არ უნდა სთხოვდეს საზოგადოება აამაღლოს პასუხისმგებლობა და დაინტერესება საზოგადოებრივი და საქვეყნო საქმისადმი, არამედ ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისათვის, რომ ადამიანი სწორედ ისე იქცეოდეს და არა სხვანაირად. ადამიანის ფაქტორის შესაძლებლობანი, რომელიც გამოუყენებელი დარჩა, აზარალებს არა მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანს (ვისი შესაძლებლობებიც ვერ გამოვიყენეთ), არამედ უფრო მეტად საზოგადოებას, რომლისთვისაც სამუდამოდ დაიკარგა ეს შესაძლებლობა.

ჩვენი ქვეყნისათვის, ამ გარდამავალ პერიოდში, ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს უვიცი, თავის საქმის არმცოდნე, ზერელედ მცოდნე ადამიანებისა. ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება თავისი საქმის ზედმიწვნით მცოდნე სპეციალისტები. ადამიანები, რომლებიც თავისი კომპეტენტურობით და პროფესიონალიზმით, მრავალმხრივი მომზადებით, წარმოების ღრმა ცოდნით, მეცნიერებისა და ტექნიკის მართვის, ეკონომიკის და შრომის ორგანიზაციის საკითხებში ღრმა წვდომის უნარით გამოირჩევიან, რითაც გავზრდით ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს, გავზრდით მის შემოქმედებით უკუგებას.

მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, ასეთია ერთი მომენტი, რომლის გარეშეც ადამიანის ფაქტორის როლი ვერ ამაღლდება. თუ ადამიანს გული არ სტკივა საქვეყნო საქმისათვის, თუ მიაჩნია, რომ ეს საქმე არ არის, მაშინ ასეთი ადამიანი არა თუ აამაღლებს საკუთარ როლს, არამედ ზარალად იქცევა საზოგადოებისათვის.

(დასასრული III გვერდზე)

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომა ქალაქ გორში გაიმართა

კომისიის რიგით 22-ე სხდომა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლერი ბარნაბიშვილმა გახსნეს. სხდომას ასევე სახელმწიფო რწმუნებულები და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული საჭიროებების განხილვასთან ერთად, კომისიამ მოისმინა ინფორმაცია სოფლებში 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

კერძოდ, 2020-2021 წლებში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა 21 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელს, რაც ნიშნავს, რომ დამატებით 1997 ადამიანი სარგებლობს მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსით და აქვს საშუალება ისარგებლოს მთაში მაცხოვრებლებისათვის დაგენილი ყველა სოციალური თუ ეკონომიკური სარგებლით.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, 2020 წელს 71 მლნ ლარზე მეტის 182 პროექტი მიმდინარეობდა. საგზაო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობის პროექტები დაფინანსდა როგორც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ისე სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან.

სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2 მილიონი ლარზე მეტი მოხმარდა სოფლების სკოლის რეაბილიტაციის 30 პროექტს;

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წელს სულ 4 834 500 ლარით დაფინანსდა 2 408 სტუდენტი (2 107 ბაკალავრი, 301 მაგისტრი).

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დამტკიცებულია ბაღების დაფინანსების 31 განაცხადი (საერთო ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 1 706 764 ლარი); კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 45 ბენეფიციარი, ინვესტიციის ჯამური მოცულობით 674 818 ლარი. ასევე, დამტკიცა ერთი სანერგე მეურნეობის განაცხადი, საერთო ინვესტიციით 445 770 ლარი; 28 648 ლარით დაფინანსდა 9.83 ჰა-ს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის განაცხადი.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარედ გაცემულია 1 358 პოლისი, დაზღვეულია 773 ბენეფიციარის 821.02 ჰა მიწის ფართობი და 13 044 954 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა.

2020-2021 წლების ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 13 975 ოჯახის გათბობით უზრუნველყოფას საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მოხმარდა 2 795 000 ლარი.

2020 წელს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ძალისხმევით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, კოვიდ-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, გამყოფი ხაზის ყველა სოფელში მოსახლეობას გაეწია ჰუმანიტარული დახმარება. კერძოდ, ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების კალათები გადაეცა 3053 ოჯახს, მათ შორის შშმ პირებს და მრავალშვილიან ოჯახებს, ობოლ ბავშვებსა და მარტოხელა მოხუცებს.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია 2013 წლის 4 ოქტომბერს შეიქმნა. გამყოფი ხაზის მიმდებარეს სტატუსი მინიჭებული აქვს 116 სოფელს, საიდანაც 80 მაღალმთიანი დასახლებაა, ხოლო სულ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის რაოდენობა (2014 წლის საყოველთაო აღწერით) შადგენს 46 352 ადამიანს.

პატივი ვცეთ მის უდიდებულესობას - ადამიანს!

(დასასრული. დასაწყისი იხ. II გვერდზე)

და ბოლოს ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა, აი ის პიროვნული თვისებები, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს ადამიანის ფაქტორის როლს საზოგადოებაში. ვფიქრობთ, გულგრილი, მოწუწუნე, ზარმაცი ადამიანები ზედმეტ ტვირთად იქცევიან.

მხოლოდ დადებითი თვისებებით აღზრდილ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენებზე იმ სფეროში, შრომით კოლექტივში, სადაც იგი მოღვაწეობს. მაგრამ ამავე დროს საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც უზრუნველყოფს სრულად გადაიყვანოს აქტივში ასეთი ადამიანური ღირსებები.

ადამიანში ასეთი ღირსებების დამკვიდრება და აღორძინება იქნება მცდელობა ადამიანში გააღვივოს სურვილი იცხოვროს, იშრომოს, იბრძოლოს იმისათვის, რომ მის გარშემო და საზოგადოებაში უმჯობესდებოდეს ერთიანობა,მაღალი პროფესიული დონე,კანონისადმი პატივისცემა და სხვა.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ადამიანის ფაქტორის ამაღლების უტყუარი განხორციელება მოხდება მხოლოდ დემოკრატიის შემდგომი გაღმავების გზით, თვითმმართველობის განვითარებით.

როცა თითოეული მოქალაქის საქმიან კომპეტენტურ აზრს პატივს ვცემთ, მეტ თავისუფლებას მივცემთ, როცა მართლის მთქმელ ადამიანში მტერს კი არა და მოყვარეს დავინახავთ. დავაფასოთ ის ადამიანები, რომლებიც უდრტვინველი შრომით, საქმის ცოდნით, სამშობლოს, ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწიან.

დავაფასოთ ის ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ უაღრესი ერთგულებითა და პასუხისმგებლობით, მოვალეობის ღრმა შეგნებით ემსახურონ საზოგადოებრივ საქმიანობას.

თუ რამდენად წარმატებით ვახერხებთ ამას, მით უფრო ამაღლდება ადამიანის ფაქტორის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში,მით უფრო მეტ და თვალსაჩინო წარმატებებს ვაღწევთ საზოგადო საქმეებში, მით უფრო კმაყოფილდება ცალკეულ პიროვნებათა ინტერესები, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში, დაიგება ასფალტი, მოეწყობა გზის დამცავი კედლები და გაბიონები, სანიაღვრე არხები და მილ-ხიდები.

სოფელში ამ დრომდე საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც, განსაკუთრებით, უამინდობის პერიოდში გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. პროექტის განხორციელების შედეგად, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი მთელ სოფელს მოიცავს. მოწყობილი გზით 900-ზე მეტი ადამიანი ისარგებლებს.

სამუშაოები, რომელთა ღირებულება 1840009 ლარს შეადგენს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24)

ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა შემდეგ წლებშიც, რაც, მუშათა მხრიდან, სამართლიან გულისწყრომას იწვევდა, 1888 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „ივერიამ” გამოაქვეყნა ინფორმაცია გვირაბზე მომუშავე მუშებს შორის მომხდარი მღელვარების სესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთი იმავე საკითხზე აქვეყნებს „ვინმე მუშის” ხელმოწერით წერილს, რომელშიც საუბარია ამ მღელვარების გამომწვევ მიზეზებზე. „ივერიაში”, – აღნიშნავდა კორესპონდენციის ავტორი, – „...დაბეჭდილი იყო ამბავი წიფიდგან გვირაბის მუშაობის მღელვარების შესახებ. ეს ამბავი სრულიად მართალია, ხოლო მოამბეს ბევრი რამ უფრო საყურადღებო დავიწყებია და ამიტომ მეტი არ იქნება ცოტათი დაწერილებით გიამბოთ ხსენებული ამბავი. ამ გვირაბის გასაკეთებლად არის მოსულნი სხვადასხვა ტომის მოიჯარადრეები,რომლებსაც თავიანთი კანტორები აქვსთ და ჰყავსთ სხვადასხვა მოხელეები. ამ მოხელეების ხელში არის სამი ათასამდე მუშა: ადგილობრივი გლეხობა,აზნაურები,რუსები და სხვადსხვა უცხოელნი. აქაურს მუშებსა და რუსებს ენიშნებათ დღეში ქირა 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე, ხოლო უცხოელ მუშებს კი დღეში 3-8 მანეთი. საუბედუროდ, ჩვენებური და რუსი მუშები იმ ქირასაც ვერ ღებულობენ ხოლმე. აქაურსა და რუსის მუშებს მოიჯარადრეები დღიურად ამუშავებენ, მაგრამ ზოგს 30 დღის მაგივრად 20 დღეს უანგარიშებენ და ზოგს ნაკლებსაც. ასე ეუბნებიან: გინდათ, მიიღეთ და არ გინდათ, იჩივლეთ, სადაც ჯერ არსო... რა ჰქმნან საწყალმა მუშებმა? ზოგს ეკარგება 8 მ; ზოგს 11 მ და ზოგს უფრო მეტიც... ასე გახლავთ ჩვენი საქმე და არა ვიცით-რა მოეღება თუ არა ბოლო ამ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას”.

1890 წლის 16 ივლისს, გვირაბის მშენებლობაზე მომუშავე 200 მუშა გაიფიცა. მიზეზი შემდეგი იყო: სამუშაოთა მწარმოებელმა ბეზვრატინმა მუშებს ფული არ აუნაზღაურა. გაფიცული მუშები აღარ ცხადდებოდნენ სამუშაოზე. ბეზვრატინი იძულებული იყო, დათანხმებოდა მუშებს, რომ აუნაზღაურებდა 11 ათას მანეთს, მაგრამ მუშებმა ამაზე უარი განაცხადეს. ისინი სრულ ანაზღაურებას – 20 ათას მანეთს მოითხოვდნენ.

გვირაბის მშენებლობაზე წესრიგი არ დამყარებულა.

როგორ დამთავრდა მუშათა ეს გაფიცვა ჩვენთვის ცნობილი არ არის,მაგრამ ფაქტია, რომ მუშებს გაფიცვა არ შეუწყვეტიათ. ამაზე გვაფიქრებინებს ის დოკუმენტი, რომელშიც მუშათა ამ გაფიცვაზე არის ლაპარაკი.

როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ 1883 წელს, ხოლო შემდეგ 1895 წელს ხაშურიდან თბილისში გადაიტანეს რკინიგზის მთავარი სახელოსნოები. აქ დარჩა მხოლოდ საორთქმავლო დეპო, რომელთანაც მუშაობდა მცირე სახელოსნოები, სადაც ეწეოდნენ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის,ორთქმავლებისა და ვაგონების შეკეთებას. ამ გარემოების მიუხედავად, შეამცირა ხაშურის რკინიგზაზე მუშათა რიცხოვნობა არ შეცვლილა. არ შეცვლილა მათი ეკონომიური მდგომარეობაც. ამ პერიოდის მუშათა გამოსვლები კვლავ ეკონომიური ხასიათისაა. თუმცა ამევე პერიოდში უკვე ადგილი აქვს მუშათა პოლიტიკური წრეების ჩამოყალიბებას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველი პოლიტიკური წრეები ხაშურში 1895-1896 წლებში შეიქმნა. რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ვ. რატიას მოგონებებში ნათქვამია, რომ ს. დოლიძეს თბილისიდან ჩამოჰქონდა მიხაილოვოში პოლიტიკური ლიტერატურა, რომელსაც თვით ს. დოლიძესთან ერთად მუშებში ავრცელებდნენ იგივე ვ. რატია, ვ. გურგენიძე, გ. ვარდაზიანი, ნ. სიხარულიძე, პ. პარკაძე, მ. ტიტვინიძე და სხვები.

1897-1898 წლებში ხაშურში უკვე ყალიბდება მარქსისტული წრეები,რომელსაც ხელმძღვანელობდნენ:

სერგო ალილუევი – რსდმპ-ს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც 1896-1897 წლებში მუშაობდა სადგურ მიხაილოვოს დეპოში.

სტეფანე გარიშვილი – ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში გორიდან მიხაილოვოს რკინიგზის სახელოსნოებში სამუშაოდ ჩამოვიდა საბა გარიშვილი ოჯახით. 1883 წელს იგი თბილისის სახელოსნოებში გადავიდა სამუშაოდ. მისი ვაჟები – ნიკოლოზი და სტეფანე რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები გახდნენ საქართველოში. სტეფანემ 1891 წლიდან თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში დაიწყო მუშაობა. 1898 წლიდან იგი რსდმპ წევრი ხდება. სტეფანე ახლოს იცნობდა ხაშურელ მუშებს, იგი მათი ხშირი სტუმარი იყო და მათთან აწარმოებდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას.

ვლადიმერ ხოზბერიძე – დაიბადა 1878 წელს ხაშურში მუშის ოჯახში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, შედის რსდმპ რიგებში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მუშათა გამოსვლებში, რის გამოც არაერთხელ იყო გადასახლებაში. 1906 წელს მას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ 20 წლის კატორღით შეუცვალეს. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ ვლ. ხოზბერიძე სმოლენსკში მოღვაწეობს. გარდაიცვალა 1927 წელს ქ. ხაშურში.

მიხაილოვოს მარქსისტული წრის წევრების თავშეყრის ადგილი ვლადიმერ ხოზბერიძის ბინა იყო. აქ ისინი ეცნობოდნენ მარქსისტულ ლიტერატურას და შემდეგ ავრცელებდნენ მუშებში.

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1898 წლის 14-დან 21 დეკემბრამდე რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოწყობილი მუშათა გაფიცვა,რომელმაც გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა მიხაილოვოშიც.

1898 წლის 6 სექტემბერს, თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში გამოკრული იქნა განცხადება, რომელიც დღიურ მუშა – მოსამსახურეებს აფრთხილებდა, რომ 1899 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდოდა მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობის გამო სამუშაოდან დათხოვნის ახალი წესები. საერთოდ, მას შემდეგ რაც რკინიგზის ხაზინის ხელში გადავიდა, შეიცვალა პენსიების გაცემის წესი და მათი ოდენობა თითქმის განახევრდა, ახალი წესების მიხედვით მუშებს ეზღუდებოდათ რკინიგზის უფასო ბილეთებით მგზავრების უფლება, ცვლილებები შედიოდა სამედიცინო მომსახურების სფეროში და სხვა, რაც აუარესებდა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას. ამ ვითარებამ აიძულა რკინიგზელები, გაფიცვისთვის მიემართათ.

14 დეკემბერს, პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტში თბილისიდან გაგზავნილ ჟანდარმერიის პოლკოვნიკ დებილის დეპეშაში ნათქვამია: „დღეს რკინის გზის სახელოსნოს რამდენიმე ასეული მუშა შეიკრიბენ დეპოსთან რკინის გზის ლიანდაგზე, არ უშვებენ საქონლის მატარებელს, დილის 10 საათიდან სახელოსნოებში მუშაობა შეწყვეტილია. უკმაყოფილების მიზეზია ახალი წესების შემოღება დღიური მუშების დახმარების შესახებ...”

პოლიციამ გაფიცვის პირველსავე დღეს მუშათა ერთი ჯგუფი დააპატიმრა. საქმეში ჩართეს თბილისის გარნიზონის ქვეითი ნაწილებიც, რომელთა მოქმედებისათვის მთავრობამ სპეციალური დროებითი წესები გამოსცა.

გაფიცვაში 2000-მდე მუშა იღებდა მონაწილეობას.

15 დეკემბერს ჟანდარმერიის პოლკოვნიკის დებილი დეპეშით კვლავ იტყობინებოდა: „სამ საათზე გამოწვეულმა ჯარის ნაწილებმა იარაღის დაუხმარებლად გაწმინდეს გზა, შეპყრობილია 8 კაცი, მღელვარება მოსალოდნელია ხვალაც, ბრბო თავდაჭერილია, მაგრამ ჟინიანი..”

პოლიციელებსა და გაფიცულებს შორის მოხდა შეტაკება. 17 დეკემბერს დაჭრილი და დასახიჩრებული იყო 21 მუშა, ხოლო დაპატიმრებული – 41.

ხელისუფლების მხრიდან,მუქარის მიუხედავად,მუშები კვლავ აგრძელებდნენ გაფიცვას და მხოლოდ 21 დეკემბერს შეწყვიტეს, როცა მთავრობა დათმობაზე წავიდა და საკითხის გამოკვლევამდე ძველი წესები დატოვა.

ეს გაფიცული რკინიგზელების ერთგვარ გამარჯვებას ნიშნავდა, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

თბილისის რკინიგზელთა გაფიცვის დღეებში მათი სოლიდარობის ნიშნად გამოსვლა მოაწყვეს მიხაილოვოს რკინიგზის სადგურისა და დეპოს მუშებმა. გაფიცვის შესახებ არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ დროს თბილისისა და მიხაილოვოს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობდა, რაც მომდინარეობდა იმ ფაქტიდან,რომ თავის დროზე რკინიგზის სახელოსნოები ხაშურში არსებობდა. მათი თბილისში გადატანის შემდეგ (1883, 1895 წლები), ბევრი მუშა გადავიდა თბილისში, ნაწილი კი აქ დარჩა. ისინი არა მარტო ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის მდგომარეობასაც კარგად იცნობდნენ. ამიტომ იყო, რომ როცა თბილისელმა რკინიგზელებმა გაფიცვა გამოაცხადეს, მათ, მხარდაჭერის თვალსაზრისით, არჩევანი სწორედ მიხაილოველ რკინიგზელებზე შეაჩერეს.

18 დეკემბერს,დილის 10 საათზე,თბილისიდან ჩამოსული მუშების მოწოდების საპასუხოდ, მიხაილოვოში დაიწყო რკინიგზელთა გაფიცვა.

ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე 24 დეკემბერს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ დებილს აცნობებდა: „18 დეკემბერს უნტერ-ოფიცერმა სუსლიკმა მაცნობა, რომ სადგურ მიხაილოვოში ტფილისიდან ჩამოსული ოთხი მუშა-ხელოსანი აქეზებდნენ მუშებს გაფიცვისათვის. ესენი იყვნენ ბაკაშვილი და კახაშვილი, ორი დანარჩენის გვარები არ ვიცით. მუშებმა ორჯერ მიატოვეს მუშაობა, მაგრამ დეპოს უფროსმა დააწყნარა. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.”

მაინც რა მოხდა 18 დეკემბერს ხაშურში?

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხაშურელ რკინიგზელთა 18 დეკემბრის გაფიცვის რამდენიმე დოკუმენტის გაცნობა. პირველი დოკომენტი ეკუთვნის თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროს პოლკოვნიკ დებილს. იგი მას უგზავნის პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში. ხოლო მეორე დოკუმენტი, რომელიც გორის განყოფილების გამგის როტმისტრ სტეპანოვის მოხსენებით ბარათზე დაყრდნობით არის შედგენილი და იგი პოლკოვნიკ დებილს ეგზავნება.

„...იმ კვლევა-ძიებით,– აღნიშნავს პოლკოვნიკი დებილი მოხსენებით ბარათში, – რომელიც აწარმოვა ჩემმა თანაშემწემ, გამოირკვა, რომ სად. მიხაილოვოს ხელოსნები და მუშები იმყოფებიან უფრო კარგ პირობებში, ვიდრე სხვა უბნის მუშა-ხელოსნები; ისინი 2-2 1/2 მეტს ხელფასს გამოიმუშავებენ ხოლმე, ვიდრე სხვა უბნის მუშა-ხელოსნები.

1899 წლის 1 იანვრის დროებითი წესები,რომელნიც შეეხებიან მოსამსახურეთა დახმარებას,მიღებულ იყო მიხაილოვოში მეტად უფრო ადრე,ვიდრე ტფილისში გაფიცვა დაიწყებოდა. ეს წესები ეცნობა მუშებს არა როგორც განცხადება, არამედ გამოქვეყნებული იყო ბრძანება № 46-ში 23 ეკენისთვის თარიღით. ეს ბრძანება ვერ იქნა სავსებით გაგებული არა თუ მარტო მუშების მიერ, დეპოში მოსამსახურეების, მეტად განვითარებულ და მცოდნე პირების მიერაც, და გარდა ამისა, ბრძანება ძლიერ ცოტა იყო დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, ბრძანებას არ გამოუწვევია არავითარი მითქმა-მოთქმა და მსჯელობა.

როდესაც 14 დეკემბერს, ტფილისში, დაიწყო გაფიცვა, მიხაილოვში მოაწია კანდუქტორების, მემანქანეების და მგზავრების საშუალებით სხვადასხვა დამახინჯებულმა ცნობებმა, სახელდობრ, რომ ვითომ გაფიცვა მოხდა მიტომ, რომ 1899 წლის 1 იანვრიდან მოისპობა უფასო ექიმობა, შეკვეცილ იქნება უფასო ბილეთებით მოგზაურობის უფლება და მოისპობა ფულით დახმარება. მაგრამ ამ ხმებს არ გამოუწვევია მუშებში გარდატეხა, მხოლოდ ტფილისის ამბების შესახებ დადიოდა ხმები.

18 დეკემბრიდან-კი დილიდან შემჩნეულ იქნა მუშებს შორის გარეშე პირნი,და მუშებმა დილის 10 საათიდანვე შეწყვიტეს მუშაობა და მოითხოვეს განმარტება რამდენად მართალია მათი უფლებების შეზღუდვა 1899 წლის 1 იანვრიდან.

მუშების მღელვარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ დღეს ზოგ მუშას უარი უთხრეს წამლების მიღებაზე; ეს შემთხვევითი გარემოება ახსნილ იყო ისე, რომ ვითომ მართლდებოდა უფასო ექიმობის მოსპობის ხმები, მაგრამ იქვე მყოფმა ექიმმა და ფერშალმა განუმარტა მუშებს, რომ ზოგს წამლების მიღებაზე უარი ეთქვა მიტომ, რომ უსაფუძვლო იყო მათი მოთხოვნა.

ვინაიდან აქაური მუშები ქონებრივად უზრუნველყოფილი არიან და თანაც მცირე რიცხოვანია, რაც არ აძლევს საშუალებას აგიტატორებს, დაიმალონ მათ შორის და დიდხანს დარჩნენ მათთან, დეპოს უფროსმა შესძლო მათი დამშვიდება; ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ არც ერთმა მუშათაგანმა არ იცოდა ან ვერ გაიგო ბრძანება № 46-ის აზრი.

ის, რაც მოხდა, არ შეიძლება ჩაითვალოს მუშაობის შეწყვეტათ; ეს იყო მუშაობის შეჩერება იმ მიზნით, რომ მოესმინათ მუშებს უფროსის ახსნა-განმარტება. მუშაობის შეწყვეტა გაგრძელდა არა უმეტეს 3/4 საათისა, და მუშების მხრით არავითარ უღირს გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, გარდა უმნიშვნელო შენიშვნებისა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

16. სარქის ოგანეზოვი, ქვრივი, ჰყავს ვაჟი, გიგოლა და ქალიშვილი. ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია.

ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, დღიურად მუშაობის ქირით იღებს სარჩოს.

17. მიკირტუმ ოგანესაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი არუთინი, ქალიშვილი. ეთნიკური სომხები.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

18. გაბრიელ არუთინაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: მირზა და დავითი, მასთან ერთ ოჯახად მისი ძმა დანიელი, მისი ცოლი, ვაჟი იოსები. ყველა ეთნიკური სომეხია.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი, 4 სული, ხვნა-თესვითა და დალაქობით იღებს სარჩოს.

19. სააკა ავაქაშვილი, მისი ვაჟი არუთინი, დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 25 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი, 6 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და დალაქობით იღებს წლიურ სარჩოს

20. სიმონ არუთინაშვილი, მისი ვაჟი არუთინი, ეთნიკური სომხები.

ცხოვრობენ სხვის სახლში, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 12 სული, თავს ირჩენენ საქონლის მწყემსობით.

21. გაბრიელ არუთინაშვილი, მისი ცოლი, დედა, ეთნიკურად სომხები.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 2 სული, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

22. არუთინ ა(ო)კანაშვილი, მისი ცოლი, დედა. ეთნიკურად სომხები. (ფანქრით მიწერილი აქვს- ყარაბახი, შეიძლება-ოსკანაშვილი -დ.ხ.)

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და დალაქობით ირჩენენ თავს.

23. გაბო ოსეფაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი დავითი, ქალიშვილი. ეთნიკური სომხები.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი. ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 23 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

24. პეპია გზირი, მისი ცოლი, ვაჟი როსტომი, ქალიშვილი. ყველა ეთნიკური სომეხი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

25. სტეფანე აკოფაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა არუთინი, მათი დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებს სარჩოს.

26. მიკირტუმ ჩაჩან არუთინაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პოღოსი, მათი დედა, ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, თავს ირჩენენ დალაქობით.

27. ზაქარია ოქონაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა არაქელი. აქვთ სახლი, ქირით დღიური მუშაობიდან აქვთ შემოსავალი.

28. მნაცაკან აკოფაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ვანი, მათი დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი. ამ ოჯახს დღიური სამუშაოების ქირით აქვთ შემოსავალი.

29. ოჰანეს ავაქაშვილი (ფანქრით მინაწერი - თბილისი-დ.ხ.) დღიური სამუშაოების ქირით ირჩენენ თავს.

თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხები:

30. ოთარ ხარშილაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები, შიო და გიორგი, მათი დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს. ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

31. გიორგი დამბარაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ბერო, ტატულა, დავითი, არუთინი. ეთნიკური სომხები.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებენ 50 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი, 4 სული. ხვნა-თესვისა და ტილოს ქსოვით აქვს შემოსავალი.

32. თავად ივანე დავითაშვილის(დავიდოვ) გლეხი, გიორგი ხუციშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თევდორე, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ერთდღიურ მიწას, იღებს 12 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 5 სული, სხვადასხვა სამუშაოებიდან იღებენ სარჩოს.

33. თავად სოლომონ დავითაშვილის(დავიდოვ) გლეხი, გოგია ხუციშვილი, მისი ცოლი, ვაჟი, ივანე, ქალიშვილი, დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

34. თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი, ფარემუზ ბეგაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ბერე და გოგია (ფანქრით-ვ სურამ).ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 5დღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

შენიშვნა: 1. ეს სოფელი გაშენებულია მდინარე ჭერათხეულაზე. მიწა- ვარგისი 2500 დღიური, მწირი 1000 დღიური. სოფელშია 1 კოშკი, ასევე ბეგთაბეგოვების, სხვა სავარგულები არ არის. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა და ნაწილობრივ მემინდვრეობა.

2. ადრე ამ სოფელში მცხოვრებ გლეხთა მცირე ნაწილი იხდიდა სურსათს თავად ბეგთაბეგოვების გლეხების რიცხვში, ახლა კი გადახდა შეუძლიათ კოლეგიის მდივან თავად ივანე ბეგთაბეგოვის, გარდა 6 უქონელი კომლისა, 23 კომლს. ხორბალი 69 კოდი, ქერი 46 კოდი. შანშე ბეგთაბეგოვის 2 კომლს - ხორბალი 6 კოდი, ქერი 2 კოდი. თავად ივანე დავითაშვილის (დავიდოვის) 1 კომლს - 3კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, თავად სოლომონ დავიდოვის1 კომლს ამდენივე, თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის ერთი კომლს ასევე.

სოფელ სომანეთში - კოლეგიის სეკრეტარის თავად ივანე სოლომონის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. ბართლომე ჩ(ჭ)ირუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ხვნა - თესვითა და საფეიქრო, (საქსოვი) სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ივანე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. გლახა ქუთი?შვილი, მისი ვაჟი საბა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თამაზი(?), მისი ცოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 6დღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული,1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. გრიგოლ ხოშელაძე (ხარშილაძე)?, მისი ცოლი, ვაჟი იაკობი, გრიგოლის დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 4დღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს წლიურ სარჩოს.

ცხინვალის მცხოვრებ მელქუა ჩიტაშვილის გლეხი

1. ბერუა ლაზარიაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილი. ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავს ორდღიურ მიწას, იღებს 25 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

შენიშვნა. 1 ეს სოფელი გაშენებულია მდინარე ჭერათხეულას პირას, წყალი საკმარისია,. სახნავი მიწებით და ყველა სავარგულებით სარგებლობენ ვაყის მცხოვრებლებთან ერთად. მათი მთავარი საქმიანობა ხვნა-თესვა, მესაქონლეობა და სხვა სამუშაოებია.

2. უწინ ეს გლეხები არ იყვნენ დაბეგრილები არავითარი გამოსაღებით. ახლა კი გადახდა შეუძლიათ კოლეგიის სეკრეტარ ივანე ბეგთაბეგოვის 1 კომლს-ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად შანშე ბეგთაბეგოვის 1 კომლს ამდენივე, თავად ივანე სულხანის ძე ბეთაბეგოვის 1 კომლს ასევე, ცხინვალში მცხოვრებ მელქუა ჩიტაშვილის ერთ კომლს ამდენივე.

აქ უნდა იყოს ახალი სოფლის დასახელება, მაგრამ გამოტოვებულია, კომლთა ნუმერაციაც იწყება ხუთიდან

5. დიმიტრი რევაზაშვილი-დაუქორწინებელი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პაპუნა.

ეს ორსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში ნათესავთან, ჰყავს 2 სული რქოსანი პირუტყვი, დღიური მუშაობით ირჩენს თავს.

6. დათუნა რევაზაშვილი, მისი ცოლი.

ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი, წვრილმანი ხელოსნობით ირჩენს თავს.

აზნაურ თომა ალექსიძის გლეხი, რომელიც არ იყო ნაჩვენები წინა აღწერაში.

7. სოსია მა--იაშვილი(არ იკითხება-დ.ხ.), მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: პაატა და ბერო, მათი ცოლები, პაატას ვაჟი კიკოლა, 3 ქალიშვილი, ბეროს ვაჟი გლახა, ბიძაშვილები: თევდორე და გიორგი, თევდორეს ცოლი და ქალიშვილი.

ამ 14 სულიან ოჯახს აქვს სახლი, 12 დღიური საეკლესიო მიწა ქირით, იღებს 150 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 15 სული, 1 ცხენი, 1 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენს თავს.(მინაწერი - გირაოშია თავად თეიმურაზ ამილახვართან-დ.ხ.).

აზნაურ სოლომონ გვარამაძის გლეხი, რომელიც არ იყო ნაჩვენები წინა აღწერაში-

8. ნინია მა---ნზარაშვილი(არ იკითხება-დ.ხ.), მისი მეუღლე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ზაქარია და გაბრიელი, მათი დედა და და.(მინაწერი გრძელდება გაურკვევლად-დ.ხ.)

შენიშვნა: 1. იმის გარდა, რაც ნაჩვენებია ჩანაწერით, თითოეულ ოჯახს აქვს საეკლესიო უწყების კუთვნილი მიწები, დაახლოებით 400 დღიური, მწირი 150 დღიური, ტყე საკმარისია, აქვთ ერთი წისქვილი, სხვა სავარგულები არ არის.

2. წინა აღწერით ამ სოფელში საბატონო გლეხები არ იყო ნაჩვენები და არავითარი გამოსაღებით დაბეგრილები არ იყვნენ, ახლა კი არის 9 კომლი, რომელთაგან გამოსაღების გადახდა შეუძლიათ: აზნაურ ფარსადან კვალიევის 2 უქონელი კომლის გარდა, 4 კომლს - ხორბალი 12 კოდი, ქერი 8 კოდი, თავად როსტომ დავიდოვის (დავითაშვილის), 1 კომლს უსახსრობის გამო გამოსაღების გადახდა არ შეუძლია, აზნაურ თომა ალექსიძის ერთ კომლს, ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, აზნაურ თომა გვარამაძის ერთ კომლს ასევე.

სოფელ სურამში - აზნაურ ბააკა მურვანიშვილის გლეხები - 1. მამუკა სანდაძე, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და დღიური სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. სესია ბიბილური, მისი ცოლი, შვილი დავითი, მასთან ერთად ოჯახში მისი ძმა ივანე. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ნასყიდი ერთდღიური და საბატონო 12დღიური სახნავი მიწა, საიდანაც იღებს 30 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. პეტრე ბლიაძე, მისი ცოლი, ვაჟი აბო, ქალიშვილი. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ქსოვენ ტილოს ,საიდანაც აქვთ შემოსავალი.

თავად თარხანოვის ყოფილი გლეხი, რომელიც ამჟამად ეკუთვნის მის შვილს, ზაქარია თარხანოვს.

4. ნონია აკოფაშვილი, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ზურაბი, ძმების დედა და და.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ერთდღიური ნასყიდი მიწა, იღებენ 10 კოდ პურს, ერთი ფარდული, წვრილმანი საქონლის გაყიდვით და ტილოს ქსოვით, იღებენ წლიურ საზრდოს.

აზნაურ ბეჟან აბაზაძის გლეხი

5. გრიგოლ კვა-----შვილი (არ იკითხება-დ. ხ.), მისი ცოლი, ქალიშვილი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიურ სახნავი მიწა, საიდანაც ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვით იღებენ სარჩოს.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები. კოდიწყაროს ტბა. ბ. წიქრიძის ფოტო.

წაღვლში ანსამბლ "ფორტეს" კონცერტი გაიმართა

ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ წაღვლში ანსამბლ "ფორტეს" კონცერტი გაიმართა.

ადგილობრივებს და სოფლის სტუმრებს - სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ცოცხალი შესრულებით მოესმინათ "ფორტეს" ცნობილი ჰიტები.

კონცერტი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს და ხაშურის მერიის მხარდაჭერით მოეწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადება

გაცნობებთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით მოსალოდნელია ტემპერატურის მკვეთრი მომატება. რის გამოც, იზრდება ტყისა და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ "112"-ს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.